# ხელშეკრულება N 13

ქ. თბილისი 1 თებერვალი, 2016 წ.

ერთის მხრივ შპს "ნატახტარის წყლები" (შემდგომში შემსრულებელი / მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის აბიბო მეგენეიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია" წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ძალაში შესვლა, მოქმედების ვადა

პუნქტი 1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში განსაზღვრულ სამუშაოებს (შემდგომში „სამუშაო"). CPV კოდი: 39222120. 41110000

პუნქტი 1.2. დამკვეთი გასცემს შემსრულებელზე წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით შეთანხმებულ თანხას და იღებს მის მიერ შესრულებულ სამუშაოებს –19 ლიტრიან ჭურჭელში დაფასოებულ სასმელ წყალს სახელწოდებით „წყალი გუდაური" და ერთჯერად ჭიქებს, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით.

პუნქტი 1.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

პუნქტი 1.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

## მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის აღწერა და მისიღირებულება

პუნქტი 2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი და შემსრულებელი თანმხდებიან შემდეგზე:

- მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს 19 ლიტრიან ჭურჭელში დაფასოებული სასმელი წყალი სახელწოდებით „წყალი გუდაური" ყოველი მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.

პუნქტი 2.2. დამკვეთი ვალდებულია შემსრულებლისაგან შეიძინოს 19 ლირტიან ჭურჭელში დაფასოებული სასმელი წყალი სახელწოდებით „წყალი გუდაური", ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 80 ცალი და 20 000 ცალი ერთჯერადი ჭიქა.

პუნქტი 2.3. 1 ცალი 19 ლირტიან ჭურჭელში დაფასოებული სასმელი წყალი სახელწოდებით „წყალი გუდაური"-ის ფასი განისაზღვრება 9 (ცხრა) ლარით და ერთჯერადი ჭიქის ფასი 0.02 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

პუნქტი 2.4. პროდუქციის ყოველი მიწოდება მოხდება შესაბამისი ზედნადების გაფორმებით.

პუნქტი 2.5. დამკვეთი ვალდებულია ცარიელი 19 ლიტრიანი ჭურჭელი შეინახოს და გადასცეს შემსრულებელს პროდუქციის ყოველი მომდევნო მიწოდების დროს ან შემსრულებლის მოთხოვნის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის ფართზე (მისივე ბრალით, ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ) ცარიელი ან/და ფუნქციონირებადი 19 ლიტრიანი ჭურჭელი დაზიანდება, დაიკარგება ან/და ჩაისხმება სხვა ნებისმიერი სითხე „წყალი გუდაური"-ს გარდა, დამკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს მისი სრული ღირებულება, რაც შეადგენს 1 ცალ ჭურჭელზე 18 ლარს.

პუნქტი 2.6. დამკვეთის სურვილისამებრ შესაძლებელია დისპენსერებს ჩაუტარდეს სანიტარული წმენდა. ერთი დისპენსერის სანიტარული გაწმენდის საფასური განისაზღვრება 15 (თხუთმეტი ლარი) ლარით დღგ-ს ჩათვლით

პუნქტი 2.7. დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებლის კუთვნილებაში არსებული წყლის 2 (ორი) დისპენსერი გადაეცემა დამკვეთს დროებით სარგებლობაში ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

## მუხლი 3. სამუშაოთა შესრულების ვადა და წესი

პუნქტი 3.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს დამკვეთისათვის გადაცემა/მიწოდება ხდება დამკვეთის მიერ შემსრულებლისადმი გაკეთებული წერილობითი ან სიტყვიერი მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.

## მუხლი 4. ღირებულეაბ და მხარეთა შორის ანგარიშსწორების წესი

პუნქტი 4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 1 120 (ათას ასოცი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

პუნქტი 4.2. დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს მიწოდებული პროდუქციის ღირებულება მიწოდებიდან (შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ან ზედნადების გაფორმებიდან) არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

## მუხლი 5. შესრულებული სამუშაოს ხარისხი

პუნქტი 5.1. შესმრულებელი ვალდებულია დამკვეთს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი პროდუქცია.

## მუხლი 6. მხარეთა უფლება მოვალეობები

პუნქტი 6.1. დამკვეთის უფლება-მოვალეობები:

6.1. დამკვეთი ვალდებულია:

6.1.1. უზრუნველყოს შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოთა შესრულებისათვის შესაბამისი სამუშაო პირობებით, რაც გულისხმობს წყლის დისპენსერისა და მისი ჭურჭლისათვის შესაბამისი ადგილების გამოყოფას და მათ ნებისმიერ მესამე პირებისაგან ბრალეული დაზიანებისაგან დაცვას.

6.1.2. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სრულად აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

6.1.3. დამკვეთის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 1.4. პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე/გასვლამდე წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შემსრულებელს გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით კონტრაქტის დარჩენილი ვადით განსაზღვრული გადასახდელი თანხის 20%-ის ოდენობა.

პუნქტი 6.2. შემსრულებლის უფლება-მოვალეობები:

6.2. შემსრულებელი ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება.

6.2.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გაწეული სამუშაოს შესახებ დამკვეთისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, თუ ასეთს ექნება ადგილი.

6.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოითხოვოს დამკვეთისათვის შესასრულებელი სამუშაოების შესრულებისათვის 6.1.1 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი პირობების შექმნა.

6.3.2. მოითხოვოს დამკვეთისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების, მათ შორის 6.1.3. პუნქტით გადასახდელი პირგასამტეხლოს გადახდა - შესრულება.

6.3.3. დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის პირველივე შემთხვევაზე შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება და მოითხოვოს მე-2 მუხლით განსაზღვრული საკუთარი დისპენსერებისა და წლის ჭურჭლის უკან დაბრუნება და გამოყენებული წყლის - შესრულებული სამუშაოს ღირებულების ამ პუნქტში აღნიშნული ფაქტის დადგომიდან 5 კალენადრული დღის ვადაში გადახდა.

## მუხლი 7. დამატებითი პირობები

პუნქტი 7.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

პუნქტი 7.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში დამკვეთმა უნდა დაუბრუნოს მომწოდებელს მათ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით განსაზღვრული რაოდენობის გამაციებელი აპარატები მუშა მდგომარეობაში. იმ შემთხვევაში თუ წყლის აპარატები მოდელით "gold master" იქნება დაზიანებული, ან დაკარგული დამკვეთის ბრალეულობით, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მომწოდებელს მისი ღირებულება რაც შეადგენს ერთ აპარატზე 220 (ორასოცი) ლარს, ხოლო თუ ზემოაღნიშნული აპარატის გაუმართაობის მიზეზი აღმოჩნდება ქარხნული დაზიანება, მიმწოდებელი ვალდებულია მიიყვანოს იგი მუშა მდგომარეობამდე.

## მუხლი 8. ავების გადაწყვეტა

პუნქტი 8.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. ამ გზით ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები

თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან მომდინარე ნებისმიერი დავა, მათ შორის დაკავშირებული თვით ამ ხელშეკრულების ბათილობასთან, მოშლასთან, შეწყვეტასთან, განხილული და გადაწყვეტილი იქნეს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

პუნქტი 9.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია მიუხედავად მისი ბათილობის საფუძვლისა ეს არ გამოიწვევს
პუნქტი 9.2. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების მათ შორის მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
პუნქტი 9.3. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი ინახება დამკვეთთან, მეორე – შემსრულებელთან. ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## მუხლი 10. მხარეთა ხელმოწერა

**"შემსრულებელი"**
შპს "ნატახტარის წყლები"
მის: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. №74
საიდენტიფიკაციო კოდი: 205289855
ა/ა **GE47 IN00 0003 6020 1040 37**
ბანკი: სს "ინვესტბანკი"
ბანკის კოდი: **IJSMGE22**

დირექტორი აბიბო მეხენიშვილი

ხელმოწერა ----------------------------- ბ.ა.

**"დამკვეთი"**
შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"
მის: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. №34
საიდენტიფიკაციო კოდი: 204568208
ა/ა **GE28LB0113121375356003**
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: **LBRTGE22**

დირექტორი ლევან ჩიკვაიძე

ხელმოწერა ----------------------------- ბ.ა.